ᲯᲠᲝᲚᲔᲢᲐᲠᲔᲑᲝ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲐ, ᲨᲔᲔᲠᲗᲓᲘᲗ!

კომუნისტი

ორგანო საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

KOMUNISTI ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ორშაბათი
14 აგვისტო
1939 წ.
№ 185 (5585)
ფასი 10 კაპ.

დიად გამარჯვებათა ციფრები

დღეს ჩვენ ვაქვეყნებთ მასალებს კრებულიდან „სსრ კავშირის სოციალისტური სოფლის მეურნეობა“. ეს სტატისტიკური კრებული გამოშვებულია სახალხო მეურნეობის აღრიცხვის ცენტრალური სამმართველოს მიერ. 152 ცხრილი სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის 52 პავილიონის საუცხოო დამტკიცებას წარმოადგენს. სოციალისტური სოფლის მეურნეობის შესანიშნავი გამარჯვებანი გადმოცემულია ციფრების უბრალო, სხარტული, საქმიანი ენით. მათ—ამ ციფრებს—არანაკლებ მოვყავართ განცვიფრებაში, ვიდრე გამოფენის შესანიშნავ სტენდებს, დიდმნიშვნელოვან ექსპონატებს. ეს ციფრები აგიტაციას ეწევიან სოციალიზმის სასარგებლოდ, საკოლმეურნეო მიწათმოქმედების შემდგომ გამარჯვებათა სასარგებლოდ. ეს ციფრები უნდა იცოდნენ ჩვენმა აგიტატორებმა და პროპაგანდისტებმა, რათა გააცნონ ისინი მილიონობით მშრომელებს.

თავის ისტორიულ მოხსენებაში ბოლშევიკური პარტიის XVIII ყრილობაზე ამხანაგმა სტალინმა სთქვა: „...კოლმეურნეობანი საბოლოოდ განმტკიცდნენ და გამაგრდნენ, ხოლო მეურნეობის სოციალისტური სისტემა ამჟამად ჩვენი მიწათმოქმედების ერთადერთ ფორმას წარმოადგენს“.

სტალინური ხუთწლედების განმავლობაში შექმნილმა მძლავრმა სოციალისტურმა ინდუსტრიამ საბჭოთა გლეხობას მისცა რთული და ძლიერი მანქანები. „მაშასადამე, ჩვენი მიწათმოქმედება,—ამბობდა შემდეგ ამხანაგი სტალინი,—არის არა მარტო ყველაზე მსხვილი და მექანიზებული, და ამრიგად ყველაზე უფრო სასაქონლო მიწათმოქმედება, არამედ თანამედროვე ტექნიკით ყველაზე უფრო აღჭურვილიც, ვიდრე სხვა რომელიმე ქვეყნის მიწათმოქმედება“.

მოსავლიანობის ზრდა, სოფლის მეურნეობის საერთო პროდუქციის ზრდა, მეცხოველეობის დარგში მომხდარი სერიოზული ძვრა — ეს სოფლის მეურნეობაში სოციალიზმის გამარჯვების პირდაპირი შედეგებია, ხოლო ამის შემდეგ იწყება საბჭოთა სოფლის მატერიალური კეთილდღეობის განუხრელი ზრდა, კულტურული რევოლუცია საბჭოთა სოფელში, ახალი კადრების შექმნა, ახალი საბჭოთა ინტელიგენციის ფორმირება.

როგორც მაღალი მთიდან გადაშლება ხოლმე მგზავრის წინაშე აყვავებული ველი, ისე ამხანაგ სტალინის სიტყვაში მთელი მსოფლიოს მშრომელთა წინაშე გადაშალა ორი სტალინური ხუთწლედით გადახნული საბჭოთა ქვეყანა. სახალხო მეურნეობის აღრიცხვის ცენტრალური სამმართველოს სტატისტიკური კრებულის მასალები საშუალებას გვაძლევენ დეტალურად განვიხილოთ დიად გამარჯვებათა სურათი, გონებრივი თვალი გავადევნოთ სოფლის მეურნეობის ცალკეულ დარგებს, ისე როგორც გამოფენის მნახველი ათვალიერებს პავილიონებს. ჩვენს წინაშე მთელი თავისი ძალით გადაშლილია სოციალიზმის ძლიერება როგორც მეურნეობის ისეთი სისტემისა, რომელიც შეუდარებლად უფრო მაღალია, ვიდრე კაპიტალიზმი იყო მისი განვითარების ყველაზე აყვავებულ ხანაში. კრებულის მასალები გვიჩვენებენ სოციალიზმის მძლავრ იარაღს —მის მიერ წარმოშობილ შრომის მაღალ ნაყოფიერებას. მშრომელ ხალხს, რომელიც თავისი მიწა-წყლის სრულუფლებიანი კოლექტიური ბატონ-პატრონი გახდა, ბოლშევიკთა ხელმძღვანელობით სასწაულების მოხდენა შეუძლია.

კრებულის მასალები გვიჩვენებენ, თუ როგორი იყო გლეხური მეურნეობა ცარიზმის დროს, როგორი იყო იგი სტალინური ხუთწლედების წინ და როგორი გახდა იგი ამ ხუთწლედების გამარჯვების შემდეგ. დაახლოებით 8 მილიონი კავი და სახნისი გლეხთა მინდვრებში, უცხენო მეურნეობათა 35 პროცენტი, უძროხოთა 28 პროცენტი, ყველა გლეხური მეურნეობის ნახევარზე მეტი უპუროდ აბალი მოსავლის წინ, სილატაკე და სიბნელე სოფლად, შიმშილი, მემამულეებისა და კულაკების კაბალა. ეს იყო ცარიზმი.

1927 წელს აღარ არიან მემამულეები და კაპიტალისტები. მაგრამ კულაკური მეურნეობანი ჯერ კიდევ ცოტა როდია: 1,1 მილიონია. გლეხობის ძირითადი მასა—ერთპიროვნული, ღარიბი და საშუალო გლეხები არიან. თითქმის მთელი მიწა ცხენის კავით იხვნება, და თუმცა საბჭოთა ხელისუფლებამ მშრომელ გლეხობას მემამულეთა ცოტა ინვენტარი როდი გადასცა, მაგრამ საგანგებო კულტურებისათვის მთელი სახნავი მიწის თითქმის მეათედი ნაწილი მამა-პაპური კავით არის მოხნული.

მაგრამ აი დევგმირთა მტკიცე ნაბიჯით გავლო საბჭოთა ქვეყანამ ათმა წელმა—ხუთწლედთა წლებმა და სოფლის მეურნეობას ახლა ველარ იცნობთ. აღარ არიან კულაკები. ერთპიროვნულ მეურნეთა შედარებით ძალიან მცირე ჯგუფი დარჩა, კოლმეურნეობანი ჰფლობენ თითქმის მთელ დასამუშავებელ მიწას. სამუდამოდ გაჰქრა ღატაკი. საბჭოთა სინამდვილეში აღარ არსებობს ეს საბრალო ფიგურა, მუდამ ტანჯული, საკატორგო შრომით ილანგგაწყვეტილი.

483,5 ათასი ტრაქტორი, 153,8 ათასი კომბაინი, 195,8 ათასი სატვირთო ავტომობილი—აი საბჭოთა ქვეყნის კოლექტიური სოფლის მეურნეობის ინვენტარი. ხოლო ამას უნდა მივუმატოთ უამრავი რთული მანქანა, რომელთა ნიმუშების წინაშეც აღტაცებით ჩერდებიან დამთვალიერებლები სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე. ამჟამად ხვნა მექანიზებულია 71,5 პროცენტით. ცხენით მომუშავე გუთანი კავთან ერთად წარსულს ჰბარდება.

საკოლმეურნეო მეურნეობა ყველაზე მსხვილი და მექანიზებული სოფლის მეურნეობაა მსოფლიოში! ტრაქტორების მხრივ თითო კოლმეურნეობაზე მოდიოდა საშუალოდ 30,8 ცხენძალა, ხოლო თითო მეურნეობაზე ამერიკის შეერთებულ შტატებში — 2,0, საფრანგეთში — 0,08, გერმანიაში—0,05, იტალიაში —0,08.

სოციალისტურ სოფლის მეურნეობას შეუდარებლად უფრო მეტი მარცვლეული მოჰყავს, ვიდრე მოჰყავდათ მემამულეებს, კულაკებსა და მეფის რუსეთის ყველა გლეხს. ჩვენ მივდივართ იქითკენ, რომ განვახორციელოთ სტალინური ლოზუნგი—ყოველწლივ მოვიწიოთ 8 მილიარდი ფუთი პური. გადიდდა ნათესი ფართობი და, რაც უფრო მნიშვნელოვანია, გაიზარდა შრომის ნაყოფიერება. მარცვლეული კულტურების მოსავლიანობა 1909-1913 წლებში უდრიდა 7,4 ცენტნერს ჰექტარზე. 1933-1937 წლებში იგი 9,1 ცენტნერამდე გადიდდა, ხოლო 1938 წელს 9,3 ცენტნერს შეადგენდა. სოციალისტური მეურნეობის მოწინავეთა მიღწევები, ეფრემოვული რგოლების გამოცდილება გვიჩვენებს, თუ რა შესაძლებლობაა გადაშლილი მიწათმოქმედების სტახანოველთა წინაშე. გამოფენა ახალ მძლავრ ბიძგს მისცემს სოციალისტურ შეჯიბრებას და საბჭოთა ქვეყნის სოფლის მეურნეობას დაუპყრობს მესამე ხუთწლედის ამოცანის განხორციელებას—12-13 ცენტნერ საშუალო მოსავლიანობას ჰექტარზე.

მაგრამ უკვე ახლაც სსრ კავშირმა პირველი ადგილი დაიკავა „ხორბლეულ“ ქვეყნებს შორის. 1929 წელთან შედარებით, ხორბლეულის მოსავალი ამერიკის შეერთებულ შტატებში შეადგენს 106,3 პროცენტს, კანადაში—59,8 პროცენტს, სსრ კავშირში კი—248,2 პროცენტს. სოციალისტურმა ქვეყანამ უკან მოიტოვა მოწინავე კაპიტალისტური ქვეყნები.

მეცხოველეობა საბჭოთა მეურნეობის შედარებით ჩამორჩენილ დარგს წარმოადგენს. ხალხის მტრებმა აქ საკმაოდ დიდი ზიანის მოტანა მოასწრეს. და მაინც სერიოზულ ძვრას ამ დარგშიც მნიშვნელოვანი გამარჯვებანი მოჰყვა. მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი და ღორის სულადობა ომამდელ დონეს აღემატება. რა თქმა უნდა, ამან ოდნავადაც არ უნდა გამოიწვიოს თვითდამშვიდებულობა. პარტია და მთავრობა იღებენ ზომებს იმისათვის, რომ მეცხოველეობა სოციალისტური მეურნეობის ისეთივე აყვავებული და მდიდარი დარგი იყოს, როგორც ყველა სხვა დარგი. საბჭოთა კავშირის სახკომსაბჭოს და სკპ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „კოლმეურნეობებში საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარების ღონისძიებათა შესახებ“, რაც ივლისში გამოქვეყნდა, სსრ კავშირში მეცხოველეობის შემდგომი აღმავლობის საბრძოლო პროგრამაა.

სახალხო მეურნეობის აღრიცხვის ცენტრალური სამმართველოს კრებულის ციფრები გვიხატავენ კოლმეურნეობათა და კოლმეურნეთა მზარდ შემოსავალს. 1938 წლის ივლისში კოლმეურნეებს ახალი მოსავლის წინ ჰქონდათ საშუალოდ 9,3 ფუთი პურის მარაგი სულზე. მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა გლეხის ოჯახის კვება. საქონელბრუნვის ზრდა სოფლად მოწმობს, რომ მოთხოვნილებანი გაიზარდა. კულტურული საქონელი ფართო ნაკადად მიედინება სოციალისტური სოფლისაკენ. კეთილდღეობის ზრდა და სოციალისტური სოფლის მეურნეობის ტექნიკური შეიარაღებულობის ზრდა—ეს ამავე დროს არის სოციალისტური კულტურის ზრდა, სოფლის ინტელიგენციის ახალი კადრების: აგრონომების, ტექნიკოსების, მასწავლებლების, ორგანიზატორების ზრდა.

ის, რაზედაც შეჯამებულად, ათასობით და ასეული ათასობით ლაპარაკობს კრებულის ციფრები, ცოცხალი სახეებით გვევლინება სრულიად-საკავშირო გამოფენაზე. ციფრები აუცილებლობის გამო უპიროვნო, უსახელოა. მაგრამ მთელი ჩვენი ქვეყანა იცნობს სოციალისტური მეურნეობის წარჩინებული ორგანიზატორების, წარჩინებული კომბაინერების, ტრაქტორისტების, მწველელების, მეჯინიბეებისა და სოციალისტური მიწათმოქმედების სხვა ოსტატების სახელებს. კრებულის მასალები ცხადჰყოფენ სოციალიზმის უდიდეს დაუშრეტელ რეზერვებს. პირველი ორი ხუთწლედის გამარჯვებანი საფუძველია წინ ახალი მძლავრი ნახტომის გასაკეთებლად. კოლმეურნეობანი განუხრელად განავითარებენ საზოგადოებრივ მეურნეობას და იდგმებიან მის სადარაჯოზე, მტკიცედ დაიცავენ საკოლმეურნეო წყობილების ძლიერებისა და სიმტკიცის ძირითად წყაროს—კოლმეურნეობის საზოგადოებრივ მიწას კერძომესაკუთრული ელემენტების ხელყოფისაგან და ამგვარად ახალ, უმაგალითო გამარჯვებებს მიაღწევენ. პირველმა ხუთწლედებმა მოსპეს სიღატაკე და შეჰქმნეს ყველა პირობა შეძლებული საკოლმეურნეო ცხოვრებისათვის. მესამე ხუთწლედის ამოცანებია შემდგომი ნაბიჯის გადადგმა წინ, კომუნიზმის გზაზე.

სოციალიზმის ბრწყინვალე გამარჯვებანი გვაიარაღებენ შემდგომი, კიდევ უფრო სწრაფი წინსვლისათვის. სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენა უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს როგორც სოციალისტური შეჯიბრების საყოველთაო სახალხო ორგანზატორი. მთელი ჩვენი ქვეყანა წინ მიდის. ამას ურყევი ციფრებით მოწმობენ საერთო შედეგები და მთელი ჩვენი ქვეყნის საშუალო მაჩვენებლები. მაგრამ საერთო მოძრაობაში თანაბარი არ არის სხვადასხვა კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობის, სხვადასხვა რაიონის, სხვადასხვა ოლქისა და რესპუბლიკის მოძრაობა. არიან მოწინავენი, არიან ჩამორჩენილნი. არიან ისეთები, რომლებმაც უკვე დიდად გადაამეტეს ჩვენი წარმატებების საშუალო მაჩვენებლებს. არიან ისეთები, რომლებიც ჯერ კიდევ იბრძვიან ამ საშუალო მაჩვენებლებისათვის. გამოფენის ამოცანაა გააღვივოს ყველა კოლმეურნეობის, ყველა რაიონის, ყველა ოლქის, მხარის, რესპუბლიკის შეჯიბრება. საჭიროა, რათა მთელმა ჩვენმა ქვეყანამ იცოდეს შესანიშნავი ციფრები ჩვენი გამარჯვებებისა, რომლებსაც მიაღწია საბჭოთა ხალხმა ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით. ყველა პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციის ამოცანაა გაეცნონ პროპაგანდა და აგიტაცია ამ ციფრებით, შემოსთხოს ისინი ჩვენი შესანიშნავი სინამდვილის ცოცხალი ფერადებით.

„პრავდის“ მოწინავე, 13/VIII.

სსრ კავშირის სახკომსაბჭოში და სკპ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტში

I. კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების სათესლე ნაკვეთებზე აღებული მარცვლის გამოყენების შესახებ

სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1937 წლის 29 ივნისის დადგენილების — „მარცვლეულ კულტურათა თესლის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ მე-47 პუნქტისა და სკპ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1939 წლის 28 მაისის დადგენილების — „1939 წელს მოსავლის აღებისათვის და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადებისათვის მზადების შესახებ“ პირველი კარის მე-16 პუნქტის შესაცვლელად—სკპ. კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის სახკომსაბჭომ დაადგინეს:

დაწესდეს, რომ სათესლე და სადაზღვევო ფონდების სრულად შენახვის შემდეგ, იმ შემთხვევაში, თუ რჩება კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების სათესლე ნაკვეთებზე აღებული ნაჭარბი მარცვალი, ზედმეტი მარცვალი, აღებული სათესლე ნაკვეთებზე, შეიძლება გამოყენებულ იქნას კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მიერ სახელმწიფოს წინაშე თავიანთ ვალდებულებათა შესასრულებლად, ხოლო ამ ვალდებულებათა შესრულების შემდეგ—სხვა საჭიროებისათვის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების შეხედულებით.

II. კოლმეურნეობებში ფეჯვის კულტურის რგოლებისათვის პრემიის ნაჯურით მიცემის შესახებ

„სსრ კავშირის სამხრეთ-აღმოსავლეთის გვალვიან რაიონებში მტკიცე მოსავლის უზრუნველყოფის ღონისძიებათა შესახებ“ სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და სკპ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1938 წლის 26 ოქტომბრის დადგენილების საფუძველზე სსრ კავშირის სამხრეთ-აღმოსავლეთის გვალვიანი რაიონების კოლმეურნეობებში გამოყოფილია სპეციალური რგოლები ფეტვის თესვისა და მოლეს პერიოდში სამუშაოდ.

იმ შემთხვევაში, როდესაც რგოლზე მიმაგრებული ფართობის თვითეულ ჰექტარზე საშუალოდ 10 ცენტნერზე მეტ ფეტვის მოსავალს იღებენ, ამ რგოლის კოლმეურნეებს, მრომადღეებისათვის დაწესებული ანაზღაურების გადამეტებით, ეძლევათ პრემია ნატურით — ფეტვით, რაც უდრის მოსავლის იმ რაოდენობის 20 პროცენტს, რომელიც 10 ცენტნერის გადამეტებით იქნება აღებული ჰექტარზე.

სკპ. კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის სახკომსაბჭომ დაავალეს პოლოლჟეს გერმანელთა ასს რესპუბლიკის და ყალმუხეთის ასს რესპუბლიკის სახკომსაბჭოებს, სარატოვის, სტალინგრადის, კუიბიშევის, ჩკალოვის, დასავლეთ ყაზახეთის, აქტიუბინსკის, ვოროშილოვგრადის, როსტოვის, ვორონეჟისა და ხარკოვის საოლქო აღმასკომებს, აგრეთვე რსფსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საორგანიზაციო კომიტეტს ტამბოვის ოლქში უზრუნველჰყონ ფეტვის კულტურის რგოლთა კოლმეურნეებისათვის აღნიშნული ნატურალური პრემიის მიცემა (ფეტვით) იმ რაიონებში, რომლებიც გათვალისწინებულია სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და სკპ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებებში, მიუხედავად იმისა, თუ მარცვლეული კულტურების რა საერთო მოსავალია აღებული კოლმეურნეობაში, აგრეთვე არ დაუცადონ სახელმწიფოსათვის მარცვლის ჩაბარებისა და სათესლე ფონდების შენახვის გეგმის შესრულებას.

ინგლისისა და საფრანგეთის მისიების ჩამოსვლა მოსკოვში

11 აგვისტოს, დილით, ლენინგრადიდან მოსკოვს ჩამოვიდნენ ინგლისისა და საფრანგეთის სამხედრო მისიები, რომლებსაც მეთაურობენ ადმირალი დრიქსი და გენერალი დუმენკი.

ლენინგრადის გაგზავნაზე სამხედრო მისიებს შეხვდნენ მუშურ-გლეხური წითელი არმიის გენერალური შტაბის უფროსის მოადგილე, კორპუსის მეთაური ამხ. სმოროდინოვი, მთავარი საზღვაო შტაბის უფროსის მოადგილე პირველი რანგის კაპიტანი ამხ. ალაფუზოვი, საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის საოქმო განყოფილების გამგე ამხ. ბარკოვი, ჭაკავშირის სახკომსაბჭომ დაავალეს პოვოლჟიეს გერმანელთა ასს რესპუბლიკის და ყალმუხეთის ასს რესპუბლიკის სახკომსაბჭოებს, სარატოვის, სტალინგრადის, კუიბიშევის, ჩკალოვის, დასავლეთ ყაზახეთის, აქტიუბინსკის, ვოროშილოვგრადის, როსტოვის, ვორონეჟისა და ხარკოვის საოლქო აღმასკომებს, აგრეთვე რსფსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საორგანიზაციო კომიტეტს ტამბოვის ოლქში უზრუნველჰყონ ფეტვის კულტურის რგოლთა კოლმეურნეებისათვის აღნიშნული ნატურალური პრემიის მიცემა (ფეტვით) იმ რაიონებში, რომლებიც გათვალისწინებულია სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და სკპ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებებში, მიუხედავად იმისა, თუ მარცვლეული კულტურების რა საერთო მოსავალია აღებული კოლმეურნეობაში, აგრეთვე არ დაუცადონ სახელმწიფოსათვის მარცვლის ჩაბარებისა და სათესლე ფონდების შენახვის გეგმის შესრულებას.

სსრ კავშირის ფონსახკომში

მესამე ხუთწლედის სესხი 1 მილიარდი და 52 მილიონი მანეთის გადაჭარბებით არის რეალიზებული

მესამე ხუთწლედის სესხი (მეორე წლის გამოშვება), რომელიც ა/წ. 2 აგვისტოს იქნა გამოშვებული 6 მილიარდი მანეთის რაოდენობით, 12 აგვისტოსათვის, ე. ი. 11 დღის განმავლობაში რეალიზებულია 7 მილიარდი და 52 მილიონი მანეთის რაოდენობით, რაც ამას ნიშნავს, რომ სესხი 1 მილიარდი და 52 მილიონი მანეთის გადაჭარბებით არის რეალიზებული.

მთელი რიგი ადგილობრივი ორგანიზაციების წინადადებით, სესხზე ხელის მოწერა გაგრძელებულია 20 აგვისტომდე, რის შემდეგაც სესხზე ხელის მოწერა სწყდება.

მესამე ხუთწლედის სესხის გავრცელება საქართველოში

12 აგვისტოს საღამოსათვის რესპუბლიკის ქალაქებიდან და რაიონებიდან მიღებული ცნობებით, მესამე ხუთწლედის მეორე წლის გამოშვების სესხზე ხელმოწერის თანხამ უკვე მიაღწია 115.281.000 მანეთს.

ქალაქად სესხზე ხელმოწერის თანხამ მიაღწია 96.360.000 მანეთს, ხოლო სოფლად 18.921.000 მანეთს.

ახალ სესხზე ხელმოწერაში ჩამორჩენილი არიან — სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქი, აღბულაღის, ბაღდათის, ბოგდანოვკის, გურჯაანის და ზოგიერთი სხვა რაიონები.

ახალგაზრდობის XXV საერთაშორისო დღის მომზადებისა და ჩატარების შესახებ

საკ. ალკა ცენტრალურ კომიტეტში

საკ. ალკა ცენტრალურმა კომიტეტმა წინადადება მისცა ყველა კომკავშირულ ორგანიზაციას ახალგაზრდობის XXV საერთაშორისო დღისათვის მზადება ჩაატარონ საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა შესასრულებლად კომკავშირელთა და ახალგაზრდობის შემდგომი მობილიზაციის ნიშნით.

საკ. ალკა ცენტრალური კომიტეტი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს იმას, რომ კომკავშირულმა ორგანიზაციებმა გაიაზრონ მუშაობა მესამე სტალინური ხუთწლედის ახალ მშენებლობებზე შეფობის აღებისათვის საკ. ალკა ცენტრალური კომიტეტის VIII პლენუმის გადაწყვეტილებათა შესაბამისად.

ახალგაზრდობის საერთაშორისო დღისათვის მზადება უნდა აღინიშნოს სოციალისტური შეჯიბრებისა და სტახანოვური მოძრაობის ახალი აღმავლობით, სსრ კავშირის თავდაცვითი ძლიერების განსამტკიცებლად კომკავშირის მუშაობის გაუმჯობესებით. თვითეული კომკავშირული ორგანიზაცია თავისი საწარმოს, დაწესებულების, საბჭოთა მეურნეობის, კოლმეურნეობის პირობებში ვალდებულია აქტიურად მოჰკიდოს ხელი პრაქტიკული ამოცანების გადაჭრას და მიაღწიოს კონკრეტულ შედეგებს.

ახალგაზრდობის დღესასწაულის ჩატარებისათვის მზადების პროცესში კომკავშირული ორგანიზაციები მოვალენი არიან გააუმჯობესონ მუშაობა იმ მხრივ, რომ შესრულდეს საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და საკ. ალკა ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებანი პიონერების შესახებ. საჭიროა ფართოდ გაიშალოს საგაზეთაციო-მასობრივი მუშაობა მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების მომავალი არჩევნებისათვის მზადების ხაზით, ამასთან, გამოიყოს ამ მუშაობის ჩასატარებლად კომკავშირული აქტივის საუკეთესო ნაწილი და კონკრეტული დახმარება გაეწიოს მას მუშაობაში.

საკ. ალკა ცენტრალურმა კომიტეტმა წინადადება მისცა კომკავშირულ ორგანიზაციებს ჩაატარონ 12 აგვისტოში ღია კომკავშირული კრებები მოსხენებით ახალგაზრდობის XXV საერთაშორისო დღის შესახებ და დასახონ დღესასწაულის ჩატარების კონკრეტული გეგმა. კითხვის, საუბრების, მოხსენებებისა და გამოფენების მოწყობის გზით გააცნონ ახალგაზრდობას საერთაშორისო მდგომარეობის საკითხები, კაპიტალისტური ქვეყნების მშრომელი ახალგაზრდობის ცხოვრება და ბრძოლა, განაგრძონ მუშაობა საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განსამარტებლად.

პიონერთა ყველა რაზმში ჩაატარონ ახალგაზრდობის XXV საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი შეკრებანი, ამასთან მონაწილეობა მიიღებინონ ამ შეკრებებში საბჭოთა კავშირის გმირებს, წარჩინებულ სტახანოველებს, მეცნიერების, ხელოვნების, ლიტერატურის მუშაკებს. ჩაატარონ დღესასწაულისადმი მიძღვნილი მასობრივი სეირნობა, სასპორტო შეჯიბრება, სამხედრო ვარჯიში, კარნავალები, საღამოები და ახალგაზრდობის შეხვედრა ჩვენი სამშობლოს წარჩინებულ ადამიანებთან.

კომკავშირულ პრესაში, რადიოთი, კინო-ქრონიკაში ფართოდ გააშუქონ ახალგაზრდობის XXV საერთაშორისო დღის მნიშვნელობა და მისი ჩატარებისათვის მზადების მიმდინარეობა.

(12 აგვისტო, „კომსომოლსკაია პრავდა“).

სპეციალური ავიაციის დღესასწაული

საუბარი მოსკოვში ავიაციის დღის ჩამტარებელი მთავრობის კომისიის თავმჯდომარესთან, დივიზიის მეთაურ ამხ. პ. პ. კოზელევთან

ჩვენს ქვეყანაში ავიაციის დღე გადაიქცა ტრადიციულ დღესასწაულად, საბჭოთა ხალხის ერთერთ უსაყვარლეს დღესასწაულად. ამ დღეს ჩვენი სამხედრო, სამოქალაქო და თავდაცვა-ავიაქიმის მფრინავები გვიჩვენებენ სტალინური ავიაციის ძლიერებას, მის ტექნიკას, თავის ოსტატობასა და მზადყოფნას — ყოველ წუთს გამოვიდნენ საბჭოთა კავშირის წმინდა საზღვრების დასაცავად.

უკანასკნელ წლებში ჩვენი საჰაერო ფლოტი კოლოსალურად გაიზარდა ურყევ, ძლევამოსილ ძალად გადაიქცა. ხოლო ჩვენი ქვეყანა დიდი საავიაციო სახელმწიფო გახდა. საბჭოთა ხალხმა შეიძინა მძლავრი ფრთები. მისი მრავალი შვილის — ამაყი სტალინური შავარდნების სახელს მთელი მსოფლიო იცნობს. ჩვენი სახელოვანი მფრინავების საგმირო საქმეები ავიაციის მსოფლიო ისტორიაში შევიდა. ამჟამად ათასობით რიგითი მფრინავი იმეორებს ისეთ რეკორდებს, რომლებსაც წინათ მხოლოდ ერთეულები აღწევდნენ. ამას მჭევრმეტყველურად მოწმობს ჩვენი საავიაციო დღესასწაულები, რომლებიც ყოველწლიურად ტარდება 18 აგვისტოს. თუ შარშან ტუშინოს აეროდრომზე გამართულ საჰაერო პარადში მონაწილეობას იღებდნენ ცალკეული გამოჩენილი ავიატორები, წელს დღესასწაულზე ნაჩვენები იქნება მთელი კოლექტივების ოსტატობა და სიმამაცე. ახლა ჩვენი საუკეთესო მფრინავები პარადზე გამოვლენ როგორც არა დღესასწაულის პროგრამის ცალკეული ნომრების შემსრულებლები, არამედ როგორც ხელმძღვანელები.

წელს ჩვენ უარი ვთქვით სხვადასხვა ატრაქციონებზე, რომლებიც ტვირთავენ დღესასწაულს. პროგრამა შედგენილია კომპაქტურად, უეჭველია მის შესრულებას დიდი აღფრთოვანებით დაესწრებიან ათასობით ჩვენი სტუმრები. საჰაერო პარადში, თავდაცვა-ავიაქიმისა და სამოქალაქო ავიაციის გარდა, მონაწილეობას მიიღებს ჩვენი სამხედრო ავიაციაც.

მიმდინარე წლის საავიაციო დღესასწაული წარმოადგენს ჩვენი ხალხის უდიდეს გამარჯვებათა დათვალიერებას. იმ ხალხისა, რომელმაც დიდი სტალინის უშუალო ხელმძღვანელობით ააშენა მძლავრი სამხედრო-საჰაერო ფლოტი. ამ დღეს თავდაცვა-ავიაქიმი და სამოქალაქო ავიაცია თავის ხალხს უჩვენებს, რომ იგი წარმოადგენს მუშურ-გლეხური წითელი არმიის სამხედრო-საჰაერო ძალთა მხარდაჭერას და რომ იგი პარტიისა და მთავრობის პირველი მოწოდებისთანავე სამხედრო ავიაციასთან ერთად მზად არის მოსპოს მტერი საიდანაც უნდა გამოჩნდეს იგი. (საკდესი).

საკდესი უპასუხოებს

გაზეთი „ილუსტროვანი კურიერ ცოძენი“ იუწყება, რომ რუზველტი ვითომ თავის წერილში, რომელიც მოლოტოვს ელჩმა შტეინჰარდტმა გადასცა, იძლევა წინადადებას საბჭოთა კავშირთან თანამშრომლობაზე იაპონიის ექსპანსიის წინააღმდეგ შორეულ აღმოსავლეთში და საბჭოთა კავშირს ამერიკის გარანტიებს აღუთქვამს იაპონიასთან ომის შემთხვევაში, იმ პირობით, რომ საბჭოთა კავშირმა ხელი მოაწეროს სამხედრო კავშირს ინგლისთან და საფრანგეთთან, აგრეთვე ჩინეთს აღუთქვამს ეკონომიურ დახმარებას იაპონიასთან ბრძოლაში და რომ თითქოს ამ საკითხთა განსახილველად რუზველტი მზად არის სპეციალური დელეგაცია გაგზავნოს მოსკოვს მას შემდეგ, რაც საბჭოთა კავშირი ხელს მოაწერს პაქტს ინგლისსა და საფრანგეთთან.

საკდესს დავალებული აქვს გამოაქვეყნოს ცნობა, რომ გაზეთ „ილუსტროვანი კურიერ ცოძენის“ მთელი ეს ცნობა სავსებით, თავიდან ბოლომდე მოჟორილი ამბავია.

ინგლისის და საფრანგეთის სამხედრო მისიების მიღება ამხ. ვოროშილოვისა და შაპოშნიკოვის მიერ

თავდაცვის სახალხო კომისარმა, საბჭოთა კავშირის მარშალმა ამხ. კ. ე. ვოროშილოვმა, მუშურ-გლეხური წითელი არმიის გენერალური შტაბის უფროსთან, არმიის 1-ლი რანგის სარდალ ამხ. ბ. მ. შაპოშნიკოვთან ერთად, მიიღო ინგლისისა და საფრანგეთის სამხედრო მისიები, რომლებსაც მეთაურობენ ადმირალი დრექსი და გენერალი დუმანკი. სამხედრო მისიები ამხ. ვოროშილოვსა და შაპოშნიკოვს წარუდგინეს ინგლისის ელჩმა ბ-მა სიიდსმა და საფრანგეთის ელჩმა ბ-მა ნაჯიარმა.

○

საღამოს საბჭოთა სამხედრო მისიამ ინგლისისა და საფრანგეთის სამხედრო მისიების პატივსაცემად გამართა სადილი.

სადილს დაესწრნენ: დიდი ბრიტანეთის ელჩი ბ-ნი სიიდსი, საფრანგეთის ელჩი ბ-ნი ნაჯიარი, ადმირალი დრექსი, გენერალი დუმანკი, ავიაციის მარშალი ბერნეტი, გენერალ-მაიორი ჰეივუდი, გენერალი ვალენი, საფრანგეთის სამხედრო ატაშე, გენერალი პალასი, ინგლისის სამხედრო-საზღვაო ატაშე, კაპიტანი კლეინჩი, ინგლისის სამხედრო ატაშე, პოლკოვნიკი ფაიერბრეისი, საფრანგეთის სამხედრო-საჰაერო ატაშე, პოდპოლკოვნიკი ლიუგე, ინგლისის სამხედრო-საჰაერო ატაშე, პოდპოლკოვნიკი ჰელაუელი და სამხედრო მისიების სხვა წევრები: სსრ კავშირის თავდაცვის სახალხო კომისარი, საბჭოთა მარშალი კ. ე. ვოროშილოვი, სამხედრო-საზღვაო ფლოტის სახალხო კომისარი, ფლოტის მე-2 რანგის ფლაგმანი ამხ. ნ. გ. კუზნეცოვი, საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილე ვ. პ. პოტიომკინი, მუშურ - გლეხური წითელი არმიის გენერალური შტაბის უფროსი, არმიის 1-ლი რანგის სარდალი ამხ. ბ. მ. შაპოშნიკოვი, მოსკოვის სამხედრო ოლქის ჯარების სარდალი, საბჭოთა კავშირის მარშალი ამხ. ს. მ. ბუდიონი, კიევის სამხედრო ოლქის ჯარების სარდალი, არმიის 1-ლი რანგის სარდალი ამხ. ს. კ. ტიმოშენკო, მუშურ-გლეხური წითელი არმიის სამხედრო-საჰაერო ძალთა უფროსი, არმიის მე-2 რანგის სარდალი ამხ. ა. დ. ლოქტიონოვი, ბელორუსიის სამხედრო ოლქის ჯარების სარდალი, არმიის მე-2 რანგის სარდალი ამხ. მ. პ. კოვალევი, მუშურ-გლეხური წითელი არმიის გენერალური შტაბის უფროსის მოადგილე, კორპუსის მეთაური ამხ. ი. ვ. სმოროდინოვი და თავდაცვის სახალხო კომისარიატის, სამხედრო-საზღვაო ფლოტის სახალხო კომისარიატისა და საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის მოხელენი.

ამხ. ვ. მ. მოლოტოვმა მიიღო ინგლისის და საფრანგეთ

სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენა

რა ვნახეთ გამოფენაზე, რა გამოცდილება შევიძინეთ

სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე სიღნაღის რაიონის მოწინავეთა და ძმაკაცურსანტთა პირველი ჯგუფის წერილი

ამხანაგო კოლმეურნეებო!

აი ეს დღეები ჩვენი ზეიმის დღეებია. გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყნის გულში — წითელ მოსკოვში სოციალისტური სოფელი თავის ისტორიულ გამარჯვებას ზეიმობს. თვალუწვდენელი დიადი საბჭოთა კავშირის ყოველი კუთხიდან მოსკოვი ყოველდღე ათასობით ახალ-ახალ ძვირფას სტუმრებს ღებულობს. ისინი არიან მოწინავე კოლმეურნეები, ტრაქტორისტები, კომბაინერები, საბჭოთა მეურნეობების მუშაკები, აგრონომები, რომელთა პატივისანი სტახანოვური შრომის ბრწყინვალე გამარჯვებათა დათვალიერებას წარმოადგენს სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენა.

ჩვენც, ძვირფასო ამხანაგებო, სხვებთან ერთად წილად გვხვდა უდიდესი ბედნიერება ჩვენი თვალით გვენახა იმ ისტორიულ გამარჯვებათა მთელი სიდიადე, რომელნიც საკოლმეურნეო მშენებლობის საქმეში მოპოვებულია განცდილ მანძილზე მსოფლიო პროლეტარიატის ბელადის, მამისა და მასწავლებლის მშობლიური დიდი **სტალინის** ხელმძღვანელობით.

გამოფენაზე ჩვენ გავეცანით მაღალი მოსავლის ოსტატების მუშაობას. სოფლის მეურნეობის მოწინავე ადამიანები უმაგალითო მოსავალს ღებულობენ. ალტაის მხარეში პრაქტიკოსმა მეცნიერმა ეფრემოვმა თავისი დაკვირვებით და ცდების დაყენებით დიდი, ფასდაუდებელი გამოცდილება გვიჩვენა სტალინური მაღალი მოსავლისათვის ბრძოლაში. მან ჰექტარზე 70-80 ცენტნერი ხორბალი მიიღო. სასოფლო-სამეურნეო მეცნიერების ნოვატორი ორდენოსანი აკადემიკოსი ტ. ლისენკო სასწაულებს ახდენს აყვავებული საბჭოთა უკრაინის საკოლმეურნეო მინდვრებზე. მის მიერ ჯიშების შეჯვარებით მიღებული სათესლე ხორბალი უხვი ჭირნახულით ავსებს კოლმეურნეთა ბეღლებს. სელექციის ახალი მეთოდის გამოყენებით ამხ. ლისენკოს მიერ გამოყვანილი გაახალთესლებული ხორბლეულის ჯიში 6-7 დღით ადრე მწიფდება და ჩვეულებრივ ჯიშზე 10-12 პროცენტით მეტ მოსავალს იძლევა. სტალინგრადის ოლქის კოლმეურნეობა „წითელი პარტიზანის“ ბრიგადირს 1938 წელს ჰექტარზე 73 ცენტნერი პური მიუღია.

გული სიამაყის გრძნობით ივსება, როცა ყოველივე ამას თვალით ნახულობ, როცა ცოცხალი მაგალითებით ხედავ, რომ საბჭოთა მეცნიერები, პრაქტიკოს კოლმეურნეებთან ხელიხელჩაკიდებულნი, ერთი აზრით და ერთი ფიქრით გულმოდგინედ მუშაობენ ჩვენი სოციალისტური სოფლის მეურნეობის კიდევ უფრო წინ წასაწევად.

ჩვენს სოციალისტურ მინდვრებზე მტკიცედ უნდა დავნერგოთ ამ ნოვატორების გამოცდილება, და ეს ჩვენ უნდა გავაკეთოთ ყოველ მიზეზს გარეშე, რათა წარმატებით შევასრულოთ ქართველი ხალხის საამაყო შვილის ამხანაგ **ლავრენტი ბერიას** საბრძოლო დავალება 1940 წლისათვის საქართველოს საკუთარი პურით უზრუნველყოფის შესახებ.

სოციალისტური მეცხოველეობის ექსპონატების ნახვამ ჩვენში აუწერელი განცვიფრება გამოიწვია.

აკადემიკოსი ივანოვი, ორდენოსანი აკადემიკოსი ლისკუნი, პროფესორი ლევაკი, მილოვანოვი და ასევულ-ათასობით სპეციალისტები თავიანთი შრომებით და საკოლმეურნეო პრაქტიკოსების მუშაობის გამოცდილების გამოყენებით პირუტყვის ახალი ჯიშის გამოყვანაში განსაცვიფრებელ შედეგებს აღწევენ. ჩვენ ვნახეთ ძროხები, რომლებიც საშუალოდ წლიურად 5-დან 12 ათას ლიტრამდე რძეს იძლევიან. გამოფენაზე წარმოდგენილია მრავალი ათეული ფერმა, სადაც თვითეული ძროხის წველადობა დღეღამეში 50-70 ლიტრს უდრის. მრავლად არის წარმოდგენილი აგრეთვე მეღორეობის ფერმები, სადაც წლიურად 28 გოჭს ინარჩუნებენ თვითეულ დედა-ღორზე. ჩვენ ვნახეთ ისეთი ჯიშის ცხვარი (ასკანიას ტიპის რამბულიე), რომლის ნაკრეჩი მატყლი 20 მეტრ ქსოვილს იძლევა, ე. ი. მამაკაცის 6 კოსტიუმს ჰყოფნის. აბა წარმოიდგინეთ რისი მიღწევა შეგვიძლიან ამ ჯიშების გადმონერგვით. რომელ ერთზე შეეჩერდეთ. რამდენი საკვირველება გადაიშლება თვალწინ ყოველ პავილიონში. მიჩურჩინის ბაღები მსოფლიო რეკორდების ბაღნარია.

ამხანაგო კოლმეურნეებო! დიდი პატივია იყო ამ ჩვენი სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილე.

ჩვენ, სიღნაღის რაიონის საკოლმეურნეო მინდვრების მოწინავე ადამიანები, სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილენი, რომელთაც ახალ გამარჯვებათა მოპოვებისათვის ბრძოლის ახალი ენტუზიაზმი და ენერგია შეგვმატა გამოფენის დათვალიერებამ, ვიძლევით სიტყვას, რომ 1940 წლისათვის შევინარჩუნებთ გამოფენის მონაწილეობის საპატიო უფლებას. თუ ჩვენ წელს მარცვლეულის საშუალო მოსავლიანობა რაიონში ავიყვანეთ 12 ცენტნერამდე, მომავალი წლისათვის მას გავზრდით 15 ცენტნერამდე, ყურძნის მოსავალს 80 ცენტნერის ნაცვლად ავიყვანთ საშუალოდ ჰექტარზე 90-100 ცენტნერამდე. ასევე გავადიდებთ მაჩვენებლებს მეცხოველეობის დარგში.

კოლმეურნეობებმა და კოლმეურნეებმა, რომლებიც დღეს სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილენი არ არიან, 1940 წელს უნდა მოიპოვონ ეს საპატიო უფლება. საჭიროა მხოლოდ საქმისადმი სიყვარული, პატიოსანი და ბეჯითი შრომა. ჩვენი, გამოფენის მონაწილე კოლმეურნეების ვალია მხარში ამოვუდგეთ მათ, დავეხმაროთ ჩამორჩენილებს, გადავცეთ მათ ჩვენი მუშაობის მეთოდი და ის მდიდარი გამოცდილება, რომელიც სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე მივიღეთ, და ამით მივაღწიოთ საერთო აღმავლობას.

აქეთკენ მოგვიწოდა ჩვენ საბჭოთა მთავრობის მეთაურმა ამხანაგმა **ვ. მოლოტოვმა,** რომელმაც გამოფენის ტრიბუნიდან გვითხრა: „რაც უფრო მალე უზრუნველვყოფთ კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების მთელი მასის მიერ სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილეთათვის დაწესებული მაჩვენებლების შესრულებას, მით უფრო მალე უზრუნველვყოფთ მესამე ხუთწლედის მთელი გეგმის შესრულებას სოფლის მეურნეობის დარგში. ამაში მდგომარეობს სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის, როგორც მესამე ხუთწლედის შესრულებისათვის წარმოებული სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზატორის მნიშვნელობა“.

სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილენი და ექსკურსანტები სიღნაღის რაიონიდან: **მანანა ნადირაშვილი, ს. მაწკეპლაძე, ი. ბერულაშვილი, ხ. ოტიაშვილი, გ. მაძღარაშვილი, ო. ხაჩიაშვილი, ი. ალადაშვილი, ქ. ნანდოშვილი, დ. მჭედლიშვილი, ი. სომხიშვილი, ტასო ბაბანაშვილი, ა. მარკოზაშვილი, ნინო გიგოლაშვილი, მ. გოგოლაშვილი, თ. ნიჟარაძე, ლ. არსენიშვილი, მ. ნადირაშვილი, ი. ბალარჯიშვილი** და სხვ.

ს. მ. კიროვის მონუმენტი, დადგმული ლენინგრადისა და ჩრდილოეთ-აღმოსავლეთის პავილიონთან სრულიად - საკავშირო სასოფლო - სამეურნეო გამოფენაზე. საქდესის ფოტოკორონიკა.

საქართველოს მეაბრეშუმეობა სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე

მოსკოვი, 13 აგვისტო **(ბილდაპარატით ჩვენი საკ. კორ.).** სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე მეაბრეშუმეობის პავილიონში, რომელიც მნახველთა ყურადღებას იპყრობს თავისი არქიტექტურული ფორმების სილამაზითა და აბრეშუმის წარმოშობის მთელი პროცესის ჩვენებით, გამოფენილია მრავალი ექსპონატი, რომელიც წარმოადგენს მეაბრეშუმეობას საქართველოში. დიდი სტენდი მიძღვნილია თელავის რაიონის კოლმეურნეობა „წითელი ოქტომბრისადმი“, სადაც შესაძლებ აბრეშუმის ჭიის გამოკვების პროცესი ერთიორად შემცირებით. აქ არის ამ ვადის შემცირების ინიციატორთა — ოსანა აივაზაშვილის, ანა კვიცაშვილის, საბედა ყლარტილაფრის სურათები, სურათი ვარო კვიცაშვილისა, რომელმაც უზრუნველჰყო აბრეშუმის ჭიის მიერ პარკის გაკეთება 22 დღეში.

ცალკე სტენდი მიძღვნილია ჭუთაისის საგრენაჟო ქარხნისადმი, რომელმაც 1938 წელს საშუალოდ რაიონში მიიღო 73,4 კილოგრამი საჯიშე პარკი 1 კოლოფ თესლიდან. მაკეტი აცნობს მნახველებს ამ ქარხნის საერთო ხედს, ხოლო ფოტოსურათი ამ ქარხნის საუკეთესო რგოლს — ე. ი. ხანთაძესა და კ. ს. კანდელაკს. ამ სტენდის გვერდით მოთავსებულია ზუგდიდის საგრენაჟო ქარხნის სტენდი. ამ ქარხანაში 1938 წელს დაამზადა 74 ათასი კოლოფი ჰიბრიდული თესლი. **ბავი**ლიონში ნაჩვენებია, საქართველოს მეაბრეშუმეობის სტახანოველებმა განმეორებითი გამოკვებით როგორ გაასამკეცეს პარკის მოსავალი. ფოტოსურათზეა ღია, მოღიმარე სახე ა. ი. ნუცუბიძისა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატისა, რომელიც მოწინავეა მეაბრეშუმეობაში. მან პირველმა ჩაატარა 1936 წელს სამი გამოკვება.

ფოტო აცნობს მნახველებს აგრეთვე საქართველოს სხვა საუკეთესო მეაბრეშუმეებს — გ. კ. ქავჯაიას წულუკიძის რაიონის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობიდან, საჩაძეს იმავე რაიონის შმიდტის სახელობის კოლმეურნეობიდან, ადეიშვილს ვანის რაიონის კუიბიშევის სახელობის კოლმეურნეობიდან და ღურწკაიას ზუგდიდის რაიონის ბერიას სახელობის კოლმეურნეობიდან. თუთის ბაღში, რომელიც გაშენებულია პავილიონის გარშემო, წარმოდგენილია თუთის ხის ის ჯიშები, რომლებიც რეკომენდებულია თბილისის მეაბრეშუმეობის ინსტიტუტის მიერ, და თუთის დიდი ხე „ქართული ბჟოლა“ წულუკიძის რაიონის კიროვის სახელობის კოლმეურნეობიდან.

გამოფენის მონაწილეთა დაბრუნება

ქუთაისი, 13 აგვისტო (საქდესი). მოსკოვიდან დაბრუნდა საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილეთა პირველი ჯგუფი 13 კაცის შემადგენლობით. ჩამოსულები — ქუთაისის რაიონის მოწინავე ადამიანები — უკვე შეუდგნენ თავის ყოველდღიურ მუშაობას. გამოფენის მონაწილენი მოუთხრობენ თავიანთ მეურნეობათა და საწარმოთა კოლექტივებს სოციალიზმის ქვეყნის დიად მიღწევებსა და გამარჯვებებზე.

საგრენაჟო ქარხნის სტახანოველმა ქსუნია კანდელაკმა საქდესის კორესპონდენტთან საუბრის დროს თქვა:

— ძალა არ შემწევს გამოვთქვა ის უდიდესი შთაბეჭდილება, რაც ჩემზე გამოფენამ მოახდინა. მე ვნახე 11 მოკავშირე რესპუბლიკის აყვავების ცოცხალი სურათები. მოსკოვმა, რომელიც მე პირველად ვიხილე, თავის სიმშვენიერით აღტაცებაში მომიყვანა. არ დავზოგავ ძალას, რომ წელს ჩვენმა ქარხანამ უფრო მეტ გამარჯვებას მიაღწიოს, რათა 1940 წლის გამოფენაზე ორის ნაცვლად ათეული მონაწილე გავგზავნოთ.

პარტიული ცხოვრება

განუხრელად ვიხელმძღვანელოთ ინდივიდუალური შერჩევის პრინციპით

უკანასკნელ ხანებში ქუთაისის პარტიულმა ორგანიზაციებმა თვალსაჩინოდ გააუმჯობესეს პარტიაში ახალ წევრთა მიღების საქმე. აბრეშუმის კომბინატის, სამკერვალო ფაბრიკის, მაუდის ფაბრიკის და სხვა პირველადს პარტორგანიზაციებში სერიოზული მუშაობა სწარმოებს პარტიის რიგების ზრდისათვის მოწინავე ადამიანების ხარჯზე.

ქუთაისის საქალაქო კომიტეტმა ახალი წესდების საფუძველზე პარტიის წევრებად და კანდიდატებად მიიღო მრავალი მოწინავე, სახელგანთქმული ადამიანი. მათ შორის არიან ისეთებიც, რომელთა სახელი მთელ რესპუბლიკაშია ცნობილი.

ამასწინათ რაიონჰესის პირველადმა პარტორგანიზაციამ პარტიის წევრად მიიღო რიონჰესის დირექტორი, ორდენოსანი ინჟინერი ამხ. ბორის ლომიძე, გაზ. „ინდუსტრიული ქუთაისის“ რედაქციასთან არსებულმა პირველადმა ორგანიზაციამ საკ. კ. პ. (ბ) წევრად მიიღო ახალგაზრდა მეცნიერი მუშაკი, ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი ამხ. გ. ჯიბლაძე. პედაგოგიური ინსტიტუტის პირველადმა ორგანიზაციამ პარტიის წევრობის კანდიდატად მიიღო დოცენტი ტ. მაისურაძე. სოფ. ფარცხანაყანევის პირველადმა ორგანიზაციამ საკ. კ. პ. (ბ) წევრობის კანდიდატად მიიღო ცნობილი სტახანოველი მეაბრეშუმე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ამხ. ალექსანდრა ნუცუბიძე.

აბრეშუმის კომბინატის პირველადმა პარტორგანიზაციამ საკ. კ. პ. (ბ) წევრად მიიღო საქ. სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ამხ. ოლღა რევიშვილი. ამხ. რევიშვილი ამ ორიოდე წლის წინათ დაზგის მუშა იყო, ამჟამად იგი დაწინაურებულია აბრეშუმის კომბინატის დირექტორის მოადგილედ და კარგადაც მუშაობს.

სამკერვალო ფაბრიკის პირველადმა პარტორგანიზაციამ ამ დღეებში საკ. კ. პ. (ბ) წევრობის კანდიდატებად მიიღო მოწინავე სტახანოველი მუშები: პ. ჩომახიძე, შ. კაკვიძე, ფ. ყუბანეიშვილი, ლ. ასლანიკაშვილი, მ. წურწუმია და სხვ. აღნიშნული ამხანაგები საწარმოო გეგმებს 150-180 პროცენტით ასრულებენ და ამავე დროს საუკეთესო საზოგადოებრივი მუშაკები არიან.

მაგრამ ყველა პირველად ორგანიზაციაში საჭირო სიმაღლეზე როდია დაყენებული პარტიაში მიღების საქმე. ზოგიერთ ორგანიზაციებს გააჩნიათ სერიოზული ნაკლოვანებები პარტიული მუშაობის ამ მეტად მნიშვნელოვან უბანზე.

მაგალითად, „აზნეფტსბიტის“ ქუთაისის განყოფილების პირველადს პარტორგანიზაციას დღემდე არ მიუღია არცერთი წევრი ან კანდიდატი თავის რიგებში. რით უნდა აიხსნას ეს მდგომარეობა, თუ არა პირველადი ორგანიზაციის მდივნის ამხ. დ. შენგელაიას სუსტი მუშაობით პარტიულ ორგანიზერებთან?

ზოგიერთი ორგანიზაციის ხელმძღვანელებს ცუდად ესმით პარტიის წესდება. პარტიაში ღებულობენ სერიოზული შერჩევისა და შემოწმების გარეშე ყველას, ვინც კი სურვილს განაცხადებს.

საკონსერვო ქარხნის პირველადმა პარტორგანიზაციამ (პარტბიუროს მდივანი ვ. ჩაფიძე) ამასწინათ საკ. კ. პ. (ბ) წევრობის კანდიდატად მიიღო ს. კახიანი. შემდეგ გამოირკვა, რომ წარსულში ის იყო „ახალგაზრდა მარქსისტთა“ მენშევიკური ორგანიზაციის წევრი, რაც დამალა პარტიაში მიღების დროს. საქალაქო კომიტეტის ბიურომ გააუქმა საკონსერვო ქარხნის პირველადი ორგანიზაციის დადგენილება კახიანის საკ. კ. პ. (ბ) კანდიდატად მიღების შესახებ.

საავტომობილო სამმართველოსთან არსებულმა პირველადმა პარტორგანიზაციამ (პარტორგანიზაციის მდივანი მიხ. დოლაბერიძე) წინასწარი შესწავლის გარეშე საკ. კ. პ. (ბ) კანდიდატად მიიღო ვინმე ჩქონავანი. შემდეგში გამოირკვა, რომ ის 1924 წლის ავანტიურის მონაწილე იყო. ასევე შეუსწავლელად პურტრესტის ორგანიზაციამ (პარტბიუროს მდივანი ი. ხაჩატურიანი) პარტიის წევრობის კანდიდატად მიიღო სევ. ჭედია, რომელიც მსჯავრდადებულია სისხლის სამართლის საქმეზე.

ეგ. გვასალია

პარტორგანიზატორებად მოწინავე ადამიანები აირჩიეს

სამტრედიის სავაგონო დეპოში ორგანიზებულად და კომუნისტთა მაღალი აქტივობით ჩატარდა საამქროების პარტიული ჯგუფების ორგანიზატორთა და მათი მოადგილეების არჩევნები; პარტჯგუფორგანიზატორებად არჩეული არიან წარმოების მოწინავე კომუნისტები.

მაგალითად, მოხსენითი რემონტის საამქროს პარტჯგუფის ორგანიზატორად წამოყენებულ იქნა მოწინავე დურგალი, კომუნისტი ამხ. გ. იაკაჯეიშვილი. მოხსენითი რემონტის საამქრო მოწინავეა სამტრედიის დეპოში. ამ საამქროს კოლექტივი სავსებით დაეუფლა ცნობილი რკინიგზელის ხალაპანის მეთოდს და ახლა ისინი ნაცვლად 7 საათისა 1 საათში უშვებენ ვაგონს შეკეთებიდან.

მოხსენელი რემონტის საამქროს კომუნისტებმა პარტჯგუფორგანიზატორად აირჩიეს უწუნო და უყაირო მუშაობის ოსტატი, ვაგონების გამსინჯველი, ახალგაზრდა კომუნისტი ამხ. ა. ადამია, რომელიც მრავალ-ჯერ არის დაჯილდოებული წარჩინებული მუშაობისათვის. მან მატარებლის გასინჯვის ნორმა 35 წუთიდან 20 წუთამდე დაიყვანა. აღნიშნული საამქროს კომკავშირულმა ცვლამ ახალგაზრდა ოსტატის ამხ. შ. ჯანაშიას ხელმძღვანელობით სტახანოვურ-კრიტიკოსული მეთოდებით მუშაობის უკეთესად მოწყობით ა.-კ. რკინიგზის პოლიტგანყოფილების გარდამავალი დროშა მოიპოვა.

სამატარებლო ოსტატთა გუნდებში პარტჯგუფორგანიზატორად აირჩიეს საბუქსე მეურნეობის ინსტრუქტორი ამხ. მ. ნუცუბიძე. იგი წარმატებით ხელმძღვანელობს საბუქსე მეურნეობის მოგვარების საქმეს და ბუქსის წვის წინააღმდეგ ბრძოლას.

ახლად არჩეულმა პარტჯგუფორგანიზატორებმა უკვე მიიღეს სათანადო პრაქტიკული მითითებები და შეუდგნენ მუშაობას.

შ. კოკრეიძე

ამხ. ა. ი. მახარაშვილი მიღებულია პარტიაში

(„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტისაგან).

საქ. კ. პ. (ბ) ბორჯომის რაიკომის ბიურომ დაამტკიცა სოფ. ჯობისხევის კოლმეურნეობა „პირველი მაისის“ პირველადი პარტორგანიზაციის დადგენილება საქ. სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის ამხ. ალექსი ივანეს-ასულ მახარაშვილის საკ. კ. პ. (ბ) წევრობის კანდიდატად მიღების შესახებ. ამხ. ა. ი. მახარაშვილი სოფ. ჯობისხევის კოლმეურნეობის გამოჩენილი ადამიანია. იგი მებოსტნეობის ბრიგადას ხელმძღვანელობს. მისი ბრიგადა მოწინავეა მთელ კოლმეურნეობაში.

ი. ლუკიანენკო

ეფრემოვული მოძრაობა მაღალი მოსავლისათვის

1935 წლის დამლევს ალტაის მხარის ბელოგლაზოვოს რაიონში წარმოიშვა კოლმეურნე გლეხობის მოწინავე ადამიანთა შესანიშნავი მოძრაობა სარეკორდო, მტკიცე მოსავლისათვის. ამ მოძრაობას უწოდებენ ეფრემოვულ მოძრაობას კოლმეურნეობა „ისკრის“ რგოლის ხელმძღვანელის, რსფსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის ამხ. ეფრემოვის სახელის მიხედვით, რომელმაც პირველად აღმართა მაღალი სტალინური მოსავლისათვის ბრძოლის დროშა და ბრწყინვალე წარმატებებს მიაღწია.

ბელოგლაზოვოს რაიონში წლიდან წლამდე მწირი მოსავალი მოდიოდა. განსაკუთრებით ცოტა მარცვლეული აიღეს 1935 წელს. რაიონის პარტიული ორგანიზაცია იძულებული იყო მაგრად დაფიქრებოდა იმაზე, თუ როგორ დახმარებოდა კოლმეურნეობებს გაეუმჯობესებინათ მოსავალი. პარტორგანიზაციის აქტივმა ხელი მოჰკიდა მოწინავე აგრონომიული მეცნიერების შესწავლას.

მრეწველობისა და ტრანსპორტის სტახანოველთა პირველ სრულიად-საკავშირო თათბირზე ამხანაგ სტალინის გამოსვლამ გვიკარნახა, რომ საკოლმეურნეო მეურნეობის აღმავლობაშიც დიდი მორგანიზებელი როლი შეიძლება ითამაშონ მაღალი მოსავლის ოსტატებმა. საჭიროა მხოლოდ მათი დარაზმვა და მათთვის დახმარების გაწევა მუშაობაში. ბელოგლაზოვოს პარტიული ორგანიზაცია დაადგა ამ სწორ გზას და დაიწყო მუშაობა.

კოლმეურნეობებში დაიწყო მაღალი მოსავლის რგოლების შექმნა, პარტორგანიზაციამ მოაწყო და სათავეში ჩაუდგა მათ შორის გამძაფრ სოციალისტურ შეჯიბრებას. კოლმეურნეების ეფრემოვის, ჩუმანოვის, რაკიტინის მოწინავე რგოლები იბრძოდნენ ჰექტარზე 50-60 ცენტნერი ხორბლის მოსავლისათვის ანიხდის ყოველგვარ პირობებში.

სარეკორდო მოსავლისათვის საბრძოლველად ისინი აღაფრთოვანა ამხანაგ სტალინის მოწოდებამ ყოველწლიურად 7-8 მილიარდი ფუთი მარცვლეულის მოყვანის შესახებ.

სამი წლის განმავლობაში ეფრემოველები იღებდნენ მაღალ მოსავალს, ღირსეულად ასრულებდნენ თავიანთ ვალდებულებებს ქვეყნის წინაშე. ახლა მათი გამოცდილება ცნობილია ალტაის მხარის ფარგლებს იქით; განსაკუთრებით ცნობილი გახდება იგი მას შემდეგ, რაც ამ გამოცდილებას, ფართოდ წარმოდგენილს სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე, გაეცნობიან ჩვენი ქვეყნის ყველა რაიონის ათიათასობით კოლმეურნეები.

○

რაში მდგომარეობს დედაარსი, საფუძველი მაღალი მოსავლის აგროტექნიკისა, რომელსაც ეფრემოველები საკოლმეურნეო მინდვრებზე ნერგავენ?

მას საფუძვლად უდევს ნიადაგის ფართობზე თესლის გაანგარიშების თეორია და აგრონომიული კომბლექსი, რომელიც მცენარეს უზრუნველჰყოფს საკვებისა და ტენის მაქსიმალური რაოდენობით.

ეფრემოველები ცდილობენ პროდუქტიულად გამოიყენონ სინათლის ფართობი თვითეული კვადრატული სანტიმეტრი მცენარის გამოსაზრდელად. დიდი რესი მეცნიერი კ. ა. ტიმირიაზევი ამბობდა: „მიწის მოცულობის ნაყოფიერების საზღვარი განისაზღვრება არა სასუქის რაოდენობით, რომელიც ჩვენ შეგვიძლია მიეცეთ მას, არა წყლის იმ რაოდენობით, რომლითაც ჩვენ მას მოვრწყავთ, არამედ სინათლის ენერგიის იმ რაოდენობით, რომელსაც მოცემულ ზედაპირს მზე აძლევს“ (კ. ა. ტიმირიაზევი, თხზ. ტომი III, გვ. 84).

ეფრემოველებმა პრაქტიკით დაამტკიცეს, რომ რაც უფრო მეტია მარცვლეულის მწკრივები ნათეს ფართობზე, რაც უფრო სწორად არის განაწილებული სინათლის ფართობი, მით უფრო დიდია მოსავალი.

მწკრივად თესვის არსებული ხერხი ვერ დააკმაყოფილებს ამ მოთხოვნებს. ეს ხერხი უნდა შესცვალოს თესვის ახალმა ხერხებმა: ჭადრაკულმა შევიწროვებული მწკრივთაშორისებით და ფართომწკრივიანმა—ლენტისებურმა ხერხმა, — ვინაიდან მარტო თესვის ნორმის გადიდება, ჰექტარზე მწკრივებისა და მცენარეთა რაოდენობის გაუდიდებლად, არ იძლევა სასურველ შედეგებს.

სტეპების ზონებში თესლის ჩათესვის სიღრმე არ უნდა იყოს 7-8 სანტიმეტრზე ნაკლები. სასოფლო-სამეურნეო სადგურებისა და ეფრემოველთა გამოცდილება გვიჩვენებს, რომ რაც უფრო მსხვილია თესლი, მით უფრო დიდ სიღრმეს იტანს. ეს მეტად მნიშვნელოვანია სტეპების ზონებისათვის: ბარტყობის კვანძის ღრმად ყოფნას მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს.

უნდა მივაღწიოთ ნიადაგის დიდ სინათლეგამტარობას. ამის მიღწევა შეიძლება ანეულისა და მძრალად მოხნულის ღრმა კულტივაციით. კულტივაციის სიღრმე არ უნდა იყოს 10-12 სანტიმეტრზე ნაკლები. ღრმა კულტივაციის დროს გაადვილებულია მცენარის ჩასვლა ნიადაგში და უფრო მძაფრად სწარმოებს ნიადაგის ორგანიული ნივთიერების ხრწნის აერობული პროცესი. ამასთან მცენარეები იღებენ საკმაო რაოდენობით საკვებს ადვილად ასათვისებელ ფორმებში. მცენარის განვითარების საპასუხისმგებლო პერიოდში—ბარტყობისა და ამოღერების დროს ეფრემოვული რგოლები დამატებით აწარმოებენ თხევადი სასუქის შეტანას, ამით ადიდებენ მცენარეებისათვის საკვებ ნივთიერებათა მარაგს.

ღრმა ხვნით ეფრემოველები ჰქმნიან ნიადაგში წყლის ხელსაყრელ რეჟიმს. მათი აზრით, ხვნის სიღრმე უნდა იყოს არა ნაკლებ 20 სანტიმეტრისა. ანეულისა და მძრალად ხვნა უნდა სწარმოებდეს გუთნებით, რომლებსაც გაკეთებული აქვთ წინამხვნელები, 22-25 სანტიმეტრის სიღრმეზე, ხოლო უფრო ნაკლები სახნავი ფენის დროს — სრული სიღრმეზე.

ნიადაგის მაღალხარისხოვან დამუშავებასთან ერთად ეფრემოველები ფართოდ ატარებენ თოვლის შეკავებას და სასუქის შეტანას. ყოველივე ეს შესაძლებელს ხდის მკვნარისათვის საკვებისა და წყლის მაქსიმალური რაოდენობით მიცემას.

ეი სარეკორდო მოსავლის პირველი რგოლების მუშაობის შედეგები ბელოგლაზოვოს რაიონში 1936 წელს. კოლმეურნეობა „ისკრაში“ ამხ. ეფრემოვმა მიიღო 60 ცენტნერი მარცვლეული ჰექტარზე, კოლმეურნეობაში „მოლოდაია გვარდიაში“ ამხ. ჩუმანოვმა—50 ცენტნერი, კოლმეურნეობა „ნოვი ჩარიში“ ამხ. რაკიტინმა — 36 ცენტნერი. კრუპსკაიას სახელობის კოლმეურნეობაში ჰექტარზე აღებულ იქნა 36 ცენტნერი. მარცვლეული კულტურების ასეთივე დიდი მოსავალი იყო მთელ რიგ სხვა კოლმეურნეობებშიც.

1937 წელი იყო მაღალი მოსავლის აგროტექნიკის სისწორის შემოწმების წელიწადი. ამ წელიწადს ამხ. ჩუმანოვმა მიიღო ჰექტარზე 85,9 ცენტნერი მარცვლეული, ამხ. რაკიტინმა — 80 ცენტნერი, ამხ. პლესოვსკიმა—78, ამხ. სანკოვმა — 75, ამხ. მაკაროვმა — 71, ამხანაგებმა მედნიკოვმა და სევრიუკოვმა — 60 ცენტნერი თვითეულმა, ამხ. სიდორენოვმა—52 ცენტნერი, ამხ. ბალუევმა — 51 ცენტნერი, ამხანაგებმა ჩარუხინმა და ვდოვინმა — 50 ცენტნერი ჰექტარზე თვითეულმა და სხვ. ეს წელიწადი შესანიშნავი იყო იმითაც, რომ მან მხარის სხვა რაიონებიდანაც მოიტანა ეფრემოვული აგროტექნიკის სისწორის დადასტურება. ბელოგლაზოვოს რაიონის ფარგლებს იქით ბევრმა კოლმეურნეობამ აიღო მაგალითი ეფრემოველებისაგან და მიიღო მოსავალი 40-დან 50 ცენტნერამდე ჰექტარზე.

1938 წელს დიდი მოსავალი მიღებულ იქნა არა მარტო ალტაის მხარეში, არამედ ნოვოსიბირსკისა და ომსკის ოლქებშიც.

○

ამხანაგმა სტალინმა 1933 წელს საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე თავის სიტყვაში „სოფლად მუშაობის შესახებ“ სთქვა:

„ჩვენ ყველას გვახარებს ის, რომ... მეურნეობის საკოლმეურნეო ფორმა გახდა გაბატონებულ ფორმად. მაგრამ ყველას როდი ესმის ის, რომ ეს გარემოება კი არ ამცირებს, არამედ ადიდებს ჩვენს ზრუნვას და ჩვენს პასუხისმგებლობას სოფლის მეურნეობის განვითარების საქმეში... გადასვლა კოლექტიურ მეურნეობაზე, როგორც მეურნეობის გაბატონებულ ფორმაზე, კი არ ამცირებს, არამედ ადიდებს ჩვენს ზრუნვას სოფლის მეურნეობის მიმართ, კი არ ამცირებს, არამედ ადიდებს კომუნისტების ხელმძღვანელ როლს სოფლის მეურნეობის აღმავლობის საქმეში. თვითდინება ახლა უფრო საშიშია, ვიდრე ოდესმე, სოფლის მეურნეობის განვითარების საქმისათვის. თვითდინებას ახლა შეუძლია მთელი საქმის დაღუპვა“ („ლენინიზმის საკითხები“, გვ. 610).

ჩვენი ბელადისა და მასწავლებლის ამხანაგ სტალინის ეს მითითება ჩვენ მუდამ უნდა გვახსოვდეს და მით ვხელმძღვანელობდეთ.

ეფრემოვული მოძრაობა აღმოცენდა არა თვითდინებით, იგი მოაწყო ბელოგლაზოვოს რაიონულმა პარტიულმა ორგანიზაციამ. ეფრემოვული მოძრაობის ზრდა წარმოადგენს კოლმეურნე გლეხობაში, განსაკუთრებით მის მოწინავე ნაწილში, პარტიის დიდი პოლიტიკური მუშაობის შედეგს.

სარეკორდო მოსავლის აგრონომიული კომპლექსის გამოყენებაში და ეფრემოვული მოძრაობის გაშლაში დიდი როლი შეასრულეს და ასრულებენ საკოლმეურნეო და სასოფლო ტერიტორიული პარტიული ორგანიზაციები.

ამხანაგი ანდრეევი პარტიის XVIII ყრილობაზე ლაპარაკობდა, რომ ბოლშევიკების პარტიამ მოამზადა ყველა საჭირო პირობა სოფლის მეურნეობის ნაყოფიერებაში დღემდე არნახული გადატრიალებისათვის. იმისათვის, რომ ეს გადატრიალება მოვახდინოთ, საჭიროა მისი ორგანიზება. უნდა კონკრეტულად და ოპერატიულად ვუხელმძღვანელოთ კოლმეურეობებს, ვიზრუნოთ მათზე, სათავეში ჩავუდგეთ სოფლის მეურნეობის მოწინავეთა მოძრაობას.

განა ეს ჩვეულებრივი მოვლენაა, რომ ალტაის, კრასნოიარსკის მხარეებში, ნოვოსიბირსკის, ომსკის და ჩელიაბინსკის ოლქებში 12.500 ეფრემოველი და მუდმივი რგოლი ჩაბმული არიან შეჯიბრებაში ჰექტარზე 50-60-80 ცენტნერი მარცვლეულის მისაღებად? ეს რგოლები ამუშავებენ თითქმის მილიონ ჰექტარ ფართობს! ეფრემოველთა ვალდებულებებში, მათს თავდადებულ მუშაობაში ასახულია ის უდიდესი აღმავლობა, რომელიც კოლმეურნეთა მასებში გამოიწვია პარტიის XVIII ყრილობის გადაწყვეტილებებმა და ამხანაგ სტალინის მოხსენებამ.

თვითეული საოლქო, რაიონული და პირველადი პარტიული ორგანიზაციის ამოცანაა სათავეში ჩაუდგეს სოფლის მეურნეობის მოწინავეთა შესანიშნავ მოძრაობას, დაეუფლოს აგრონომიულ მეცნიერებას, აგროტექნიკა გახადოს პარტიული, მებრძოლი, ისეთი, რომ მას შეეძლოს უზრუნველჰყოს მაღალი და მტკიცე მოსავალი ამინდის ყოველგვარ პირობებ

ՀԱՅԿԱԿԱՆ ՍՈՎԵՏԱԿԱՆ ՀԱՆՐԱՊԵՏՈՒԹՅԱՆ ՀԻՄՆԱԴՐԱՄԸ

(ՏԱՍՆԵՐՈՐԴ ԴԱՍԱԿԱՐԳՄԱՆ ՄԱՍԻՆ)

Հայկական Սովետական Հանրապետության հիմնադրման մասին օրենքի նախագիծը, որ ներկայացվել է Գերագույն Սովետի նստաշրջանին, ներկայացնում է հանրապետության պետական կարգի հիմնական սկզբունքների ամբողջական համակարգ։ Նախագիծը ամրագրում է Հայաստանի Սովետական Հանրապետության ներկայիս սահմանները, որոնք ձևավորվել են 1936 թվականի Սահմանադրության համաձայն։ Նախագիծը հաստատում է Հայաստանի Սովետական Հանրապետության պետական խորհրդանիշերը՝ զինանշանը, դրոշը և պետական հիմնը։ Նախագիծը սահմանում է Հայաստանի Սովետական Հանրապետության պետական իշխանության և կառավարման մարմինների համակարգը, նրանց կազմավորման կարգը, լիազորությունները և գործունեության սկզբունքները։ Նախագիծը սահմանում է Հայաստանի Սովետական Հանրապետության տնտեսական հիմքերը, սեփականության ձևերը, տնտեսական զարգացման պլանավորման կարգը, ֆինանսական համակարգը, հարկերի և տուրքերի տեսակները։ Նախագիծը սահմանում է Հայաստանի Սովետական Հանրապետության քաղաքացիների հիմնական իրավունքները, ազատությունները և պարտականությունները։ Նախագիծը սահմանում է Հայաստանի Սովետական Հանրապետության դատական համակարգը, դատարանների կազմավորման կարգը, դատավարության հիմնական սկզբունքները։ Նախագիծը սահմանում է Հայաստանի Սովետական Հանրապետության դրոշի, զինանշանի և պետական հիմնի նկարագրությունը, ինչպես նաև դրանց օգտագործման կարգը։

Հայկական Սովետական Հանրապետության հիմնադրման մասին օրենքի նախագիծը հրապարակվում է համամիութենական քննարկման համար։ Ընթերցողների առաջարկությունները և դիտողությունները ուղարկվում են Հայաստանի Սովետական Հանրապետության Գերագույն Սովետի Նախագահության հասցեով։

Հայկական Սովետական Հանրապետության հիմնադրման մասին օրենքի նախագիծը հրապարակվում է համամիութենական քննարկման համար։ Ընթերցողների առաջարկությունները և դիտողությունները ուղարկվում են Հայաստանի Սովետական Հանրապետության Գերագույն Սովետի Նախագահության հասցեով։

ՀԱՅԿԱԿԱՆ ՍՈՎԵՏԱԿԱՆ ՀԱՆՐԱՊԵՏՈՒԹՅԱՆ ՀԻՄՆԱԴՐԱՄԸ

(ՏԱՍՆԵՐՈՐԴ ԴԱՍԱԿԱՐԳՄԱՆ ՄԱՍԻՆ)

Հայկական Սովետական Հանրապետության հիմնադրման մասին օրենքի նախագիծը, որ ներկայացվել է Գերագույն Սովետի նստաշրջանին, ներկայացնում է հանրապետության պետական կարգի հիմնական սկզբունքների ամբողջական համակարգ։ Նախագիծը ամրագրում է Հայաստանի Սովետական Հանրապետության ներկայիս սահմանները, որոնք ձևավորվել են 1936 թվականի Սահմանադրության համաձայն։ Նախագիծը հաստատում է Հայաստանի Սովետական Հանրապետության պետական խորհրդանիշերը՝ զինանշանը, դրոշը և պետական հիմնը։ Նախագիծը սահմանում է Հայաստանի Սովետական Հանրապետության պետական իշխանության և կառավարման մարմինների համակարգը, նրանց կազմավորման կարգը, լիազորությունները և գործունեության սկզբունքները։ Նախագիծը սահմանում է Հայաստանի Սովետական Հանրապետության տնտեսական հիմքերը, սեփականության ձևերը, տնտեսական զարգացման պլանավորման կարգը, ֆինանսական համակարգը, հարկերի և տուրքերի տեսակները։ Նախագիծը սահմանում է Հայաստանի Սովետական Հանրապետության քաղաքացիների հիմնական իրավունքները, ազատությունները և պարտականությունները։ Նախագիծը սահմանում է Հայաստանի Սովետական Հանրապետության դատական համակարգը, դատարանների կազմավորման կարգը, դատավարության հիմնական սկզբունքները։ Նախագիծը սահմանում է Հայաստանի Սովետական Հանրապետության դրոշի, զինանշանի և պետական հիմնի նկարագրությունը, ինչպես նաև դրանց օգտագործման կարգը

ՀԱՅԿԱԿԱՆ ՍՈՎԵՏԱԿԱՆ ՀԱՆՐԱՊԵՏՈՒԹՅԱՆ ՀԱՐՑԱՅԻՆ ԱՇԽԱՏԱՎՈՐՆԵՐԻՆ

ՀԱՅՐԵՆԻՔ, 12 ապրիլի (համ.)։ Ժողովուրդների հայրը ընկեր Ստալինը ջերմ ողջույնի հեռագիր է հղել Հայկական Սովետական Հանրապետության աշխատավորներին։

Ստալինյան սահմանադրության հաղթական երթի ներկա շրջանում, երբ ամբողջ աշխարհի աչքերը ուղղված են դեպի Սովետական Միությունը, երբ ամբողջ աշխարհի ուշադրությունը կենտրոնացած է Սովետական Միության վրա, ընկեր Ստալինի ողջույնի հեռագիրը հայ ժողովրդի համար հսկայական նշանակություն ունի։

Ընկեր Ստալինի ողջույնի հեռագիրը հայ ժողովրդի մեջ ոգևորության մեծ ալիք է առաջացրել։ Հայ աշխատավորները ընկեր Ստալինի ողջույնի հեռագիրը ընդունում են որպես նոր ոգևորության, նոր ստեղծագործական աշխատանքի կոչ։

Ընկեր Ստալինի ողջույնի հեռագրի առթիվ Հայկական Սովետական Հանրապետության աշխատավորների մեջ ծավալվում է ընդհանուր ժողովրդական հանրահավաքների շարժում։

Հանրահավաքներում հայ աշխատավորները հայտարարում են, որ ընկեր Ստալինի ողջույնի հեռագիրը նրանց համար ամենամեծ պարգևն է, որ նրանք կարող էին ստանալ։ Ընկեր Ստալինի ողջույնի հեռագիրը հայ աշխատավորների մեջ ոգևորության ալիք է առաջացրել։ Նրանք ընկեր Ստալինի ողջույնի հեռագիրը ընդունում են որպես նոր ոգևորության, նոր ստեղծագործական աշխատանքի կոչ։

Ընկեր Ստալինի ողջույնի հեռագրի առթիվ Հայկական Սովետական Հանրապետության աշխատավորների մեջ ծավալվում է ընդհանուր ժողովրդական հանրահավաքների շարժում։

Հանրահավաքներում հայ աշխատավորները հայտարարում են, որ ընկեր Ստալինի ողջույնի հեռագիրը նրանց համար ամենամեծ պարգևն է, որ նրանք կարող էին ստանալ։ Ընկեր Ստալինի ողջույնի հեռագիրը հայ աշխատավորների մեջ ոգևորության ալիք է առաջացրել։ Նրանք ընկեր Ստալինի ողջույնի հեռագիրը ընդունում են որպես նոր ոգևորության, նոր ստեղծագործական աշխատանքի կոչ։

ՀԱՅԿԱԿԱՆ ՍՈՎԵՏԱԿԱՆ ՀԱՆՐԱՊԵՏՈՒԹՅԱՆ ԱՇԽԱՏԱՎՈՐՆԵՐԻՆ

ՀԱՅՐԵՆԻՔ, 12 ապրիլի (համ.)։ Ժողովուրդների հայրը ընկեր Ստալինը ջերմ ողջույնի հեռագիր է հղել Հայկական Սովետական Հանրապետության աշխատավորներին։

Ստալինյան սահմանադրության հաղթական երթի ներկա շրջանում, երբ ամբողջ աշխարհի աչքերը ուղղված են դեպի Սովետական Միությունը, երբ ամբողջ աշխարհի ուշադրությունը կենտրոնացած է Սովետական Միության վրա, ընկեր Ստալինի ողջույնի հեռագիրը հայ ժողովրդի համար հսկայական նշանակություն ունի։

Ընկեր Ստալինի ողջույնի հեռագիրը հայ ժողովրդի մեջ ոգևորության մեծ ալիք է առաջացրել։ Հայ աշխատավորները